საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№131 (6357) 30 ოქტომბერი 1990 წელი სამშაბათი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერშია:

წმინდა ეროვნული საქმე

მთელი სოფლის სახელით

დაკოდილებული აბრები

მე-2 გვ.

ბრძოლის ველზე დაცემული რაინდი

შიდსი: ვიცოდეთ და ვებრძოლოთ

მე-3 გვ.

უკვე ბევრს ნიშნავს

აღსრულდა... 28 ოქტომბერს შედგა საბჭოთა საქართველოს ისტორიაში პირველი მრავალპარტიული არჩევნები. წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა ხალხს აძლევდა საშუალებას არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ბლოკების პროგრამების გაცნობა-შეჯერების, პერსონალურ დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრების საშუალებით ამოერჩია უკეთესი უკეთესთა შორის და ამით აერჩია სამშობლოს მომავალი.

ასეთ მოვლენას ყოველთვის ახლავს მღელვარება, ფორიაქი. ველოდით ყველა: რა იქნება შემდგომ, ვის აირჩევს ხალხი, ვის ჩააბარებს თავის ბედ-იღბალს, მიიღებს კი საერთოდ მონაწილეობას არჩევნებში, მოვახერხებთ არჩევნების ჩატარებას? ამგვარი კითხვები აწუხებდა და უღრღნიდა გულს ბევრ ჩვენთაგან. სხვათაშორის, პროგნოზები არც თუ სახარბიელო იყო. მოსახლეობის ერთი ნაწილის ინერტული განწყობილების გამო ზოგმა დაასკვნა, რომ არჩევნები არ ჩატარდებოდა. რომელ ჩვენთაგან არ მოუსმენია მეზობლისგან, ნათესავისგან, უბრალო ნაცნობისგან უკვე ცნობილი ფრაზა: არავის არ ვაძლევ ხმასო. გასაკვირიც არ იქნებოდა, რომ ჩვენს ისტორიაში ფაქტობრივად პირველი არჩევნები ჩაშლილიყო. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა— 28 ოქტომბერს დილის 7 საათიდან ხალხი მიაწყდა საარჩევნო უბნებს. დიახ, სხვა სიტყვით ამას ვერც გამოხატავ. 7 საათიდან 11 საათამდე უბნებში პიკი იყო. ამომრჩევლები სრული ნებაყოფლობით, ხალისით, პასუხისმგებლობის გრძნობით მივიდნენ საარჩევნო ყუთთან. იგრძნობოდა პასუხისმგებლობა დიდი მოვლენის წინაშე — ადამიანებს ხომ პრაქტიკულად პირველად მიეცათ არჩევანის საშუალება. და, ბუნებრივია, კაცს, რომელსაც პირველად უთხრეს, რომ მის ხმას შეიძლება გადაეწყვიტა რაიმე, არ სურდა დაეკარგა ეს შესაძლებლობა. აუღელვებლად არ შეიძლებოდა მოგესმინათ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სოხუმიდან, თბილისიდან, უფრო შორიდანაც ჩამოვიდნენ ხმის მისაცემად. მოდიოდნენ ჯოხზე დაბჯენილი, ხელებაკანკალებული მოხუცებიც. დღემდე თითქოს ინერტული ახალგაზრდები. სამშობლოს დაძახილზე გამოვიდა ყველა, ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო და გული მამულისთვის უცემდა. და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის, რომელ პარტიას, რომელ კანდიდატს მისცეს ხმა ადამიანებმა— მთავარია, რომ ხმა მისცეს იმას, ვისაც სჯეროდათ, ვინც ქვეყნის გადამრჩენად ეგულებოდათ.

ამ დღეებში არჩევნების შედეგებიც გამოქვეყნდება:

დღეს კი ერთი არჩევანია ცნობილი: ინერტულობას, ქვეყნის ბედში ჩაურევლობას ადამიანებმა ამჯობინეს აქტიურად ჩართულიყვნენ მისი მომავლის შექმნაში. ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს.

და ბოლოს, როგორიც არ უნდა იყოს არჩევნების შედეგები, ბევრს ნიშნავს ის პირველი გამოცდილება, რომელიც მიიღეს საარჩევნო კომისიებმა, ადამიანებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ წინასაარჩევნო კამპანიაში, არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში, ეს გამოცდილება მომავალში გამოგვადგება.

ია ხმელიძე.

ჩვენი დღეების ადამიანები

შემოდგომა ბარაქით კაკესებს

ამ მეტად დაძაბულ და ცვლილებებით აღსავსე დროში ჩვენი ეკონომიკის გაძლიერების ძირითადი ძალოვანი სოფელია. „სოფელი კაცითაო"—ამბობს ძველი ანდაზა. დიახ, სოფლის მშრომელთა გარჯითა და აქ მოწეული პროდუქტების სიუხვით უნდა დავაღწიოთ თავი იმ სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც დღეს ჩვენს წინაშე დგას.

შეგხვდება და გულიანად გულღიად მოგესალმება, კეთილ ღიმილსაც შემოგაგებებს ეს სასიამოვნო გარეგნობის ქალი. მერედა შენდაუნებურად გიჩნდება სურვილი, მიესალმო, მის ბალ-ვენახსა და კარ-მიდამოში მოსავლის ამბავი ჰკითხო.

ჰკითხავ და პასუხსაც მიიღებ, რის შემდეგაც არ შეიძლება პატივისცემით არ განეწყო მის მიმართ. თუმცა, ჩვენ მივეჩვიეთ კიდეც რომ ჩხუტელელმა ყენია მურცხვალაძემ ყოველწლიურად უხვი მოსავალი უნდა მოიწიოს, არც აბრეშუმის პარკის წარმოებაშიც არ უნდა ჩამორჩეს. არადა ასაკს არ იკითხავთ? 60 წელიწადს კარგა ხანია გასცდა.

თითქოს წლები კი არ ემატება აკლდებაო, უკეთესი და უკეთესი შედეგით ამთავრებს ყოველ წელიწადს. მადლობა ღმერთს და წლევანდელი წელი ისედაც მოსავლიანია, მაგრამ მისთვის მოუსავლიანი წელიწადი რომ არ არსებობს. 0,25 ჰექტარია მოსავლელად აღებული ზვარის ფართობი. ოქროსფერი შემოდგომის ამ დღეებში არაფერი სჯობს მის ზვარში გავლას. ბარაქით დატვირთულ ვაზზე ქარვისფრად ღვივის ჯანსაღი მტევნები— 5 ტონა აუცილებლად იქნებაო მოკრძალებით, მაგრამ დაბეჯითებით აცხადებს ქალბატონი ყენია. ყურძნის ამდენი მოსავლის გადიდებულ ფასებში ჩაბარება ნაშრომის კარგ საზღაურს ჰპირდება მევენახე ქალს. არც აბრეშუმის პარკის მოსავალი მიუღია სხვა წლებზე ნაკლები—70 კილოგრამი ხარისხიანი ნედლეული ჩააბარა მიმღებ პუნქტს. ყენია მურცხვალაძის საკარმიდამო მეურნეობაშიც შემოდგომის ბარაქაა ჩამდგარი. პირუტყვსაც ზრდის საუკეთესო დედა და დიასახლისი. კარმიდამოდან 100 კილოგრამზე ნაკლები ხორცი არასდროს მიუყიდია სახელმწიფოსათვის. გასულ წელს 140 კილოგრამი მიჰყიდა და წელსაც ამდენივე აქვს განზრახული.

ოფლი ამაოდ არ დაუღვრია მშრომელ ქალს. რომელიც მტკიცე და უტყუარი რწმენით აკეთებს თავის საქმეს და პირადი მაგალითით ამტკიცებს, რომ ჩვენს მადლიან მიწას მეტის მოცემა შეუძლია თუკი აამაღლებ მიწადმოქმედების კულტურას.

ღმერთმა მშვიდობაში. ლხინის სუფრაში მოახმაროს მისი ნაშრომ-ნაამაგარი.

ამზადებენ ზეგეგმით ხილს

საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს ლასურიაშში ხეხილის ბაღებს. აქაურ მშრომელებს მეხილეობის კარგი ტრადიცია აქვთ და არც წელს უღალატეს ჩვეულებას. კარგად მოუარეს ხეხილის ბაღებს და ბარაქითაც გაიხარეს.

სულ გეგმით 502 ტონა თესლოვანი ხილი უნდა დაემზადებინათ და დღეისათვის 556 ტონა ხილი აქვთ დამზადებული.

გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ ლასურიაშელი მშრომელები ხილის დამზადებას კვლავ აგრძელებენ.

რთველი დაიწყო

დიდი შრომით მოწეული მოსავლის აღება-დაბინავების ჟამი დაუდგათ სოფლის მშრომელებს. ერთდროულად მიმდინარეობს ყველა სამუშაო, ხილის კრეფა, სიმინდის აღება, პირუტყვისათვის საკვების მარაგის შექმნა და ახლახან ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეს, ყურძნის დაკრეფას შეუდგნენ. პირველ რიგში საკარმიდამო მეურნეობაში დაიწყეს ლაჯანელმა მშრომელებმა რთველი. ორბელის ღვინის საწარმო სრულ მზადყოფნაში შეხვდა სეზონს, რომელსაც ლაჯანელმა მევენახეებმა 514 ტონა ყურძენი უნდა ჩააბარონ. დღეისათვის კი საწარმოში 55 ტონა ყურძენი აქვთ მიტანილი.

ყურძნის კრეფა დაიწყეს ასევე ტვიშელმა მევენახეებმა, რომლებმაც თავიანთი სოფლის ღვინის საწარმოს 167 ტონა ტვიშური სამარკო ღვინის სამასალე ცოლიკაურის ჯიშის ყურძენი უნდა მოუწონონ. ჯერჯერობით კი 13 ტონა ყურძენია საწარმოში მიტანილი.

ყურძნის კარგ მოსავალს მოელიან წელს რაიონის მაღალმთიანი სოფლის ლაილაშის მკვიდრნი. გლეხკაცის სათაყვანებელ ვაზს წელს ამინდმაც გაუმართლა, ამას მევენახის ზრუნვა, გაძლიერებული ყურადღება დაემატა და შედეგიც სახეზეა. ჯერჯერობით აქაურ მშრომელთა კარ-მიდამოდან ღვინის საწარმოს 18 ტონა ყურძენი გაეგზავნა.

რთველი დაწყებულია ასევე ალპანელთა ზვრებში

სულ რაიონის მეზვრეებმა მიმდინარე წელს სახელმწიფოს 3000 ტონა ყურძენი უნდა მიჰყიდონ. აქედან 2100 ტონა საკარმიდამო მეურნეობიდან ჩაბარდება, 900 ტონა კი საზოგადოებრივი ზვრებიდან. დღეისათვის რაიონის ღვინის საწარმოებში 186 ტონა ყურძენია მიტანილი.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონულ კონფერენციაზე

წმინდა ეროვნული საქმე

უკანასკნელ პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციას და დაცვას. ამის ნათელი მაგალითი ბევრია.

მარტო ის რად ღირს, რომ ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის ეგიდით კიდევ ერთ დიდ ეროვნულ საქმეს ესხმება ხორცი, დაიწყო სამეცნიერო-საცნობარო ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომიანმა გამოცემამ „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობამ“ გამოსვლა. უკვე ხელმომწერლებს დაურიგდათ მეხუთე ტომი.

ამჟამად ჟურნალისტთა და კინოოპერატორთა ერთი ჯგუფი ამზადებს სცენარს და გადაიღებენ ფირზე ლეჩხუმის ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

ამ საშვილიშვილო საქმის დაცვისა და პროპაგანდის საქმეს ემსახურება ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება.

ამ დღეებში პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ცაგერის რაიონული ორგანიზაციის მე-7 კონფერენცია დღის წესრიგით:

1. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭოს ანგარიში;

2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.

3. არჩევნები:

ა. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის რაიონული საბჭოსი.

ბ. სარევიზიო კომისიის.

გ. საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მე-8 ყრილობის დელეგატების.

კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე **ე. კ. გუგავა.**

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა **ჯ. მიქაძემ,** რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის“ რედაქტორმა **ნ. ნემსაძემ,** სახალხო განათლების განყოფილების გამგემ **დ. კოპალიანმა,** ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის დირექტორმა **რ. ბაქრაძემ,** ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **დ. სვანიძემ.**

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რაიონული ორგანიზაცია აერთიანებს 47 პირველად ორგანიზაციის, რომელშიაც ათასობით წევრია გაერთიანებული. რაიონულმა და პირველადმა ორგანიზაციებმა საანგარიშო პერიოდში გარკვეული მუშაობა გასწიეს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, რესტავრაციისა და პროპაგანდისათვის. მისასალმებელია, რომ შეიქმნა ლეჩხუმის არქეოლოგიური მუდმივმოქმედი ექსპედიცია და მათ წელს პირველად ჩაატარეს საინჯი სამუშაოები, გვესოს ციხესიმაგრის რესტავრაცია. გალავანი 2-3 მეტრის სიმაღლეზე აამაღლეს, ლეჩხუმში აღმოჩენილი არქეოლოგიური განძებიდან დიდმნიშვნელოვანია ლეხერას, ლაილაშის, ლაჯობის, ლუხვანოს, ქვიშარის, მურის და სხვა ბრინჯაოს განძები. მათ შორის ლაჯობის, ლაილაშის და ლუხვანოს განძები ამშვენებენ ლენინგრადის ერმიტაჟის საგამოფენო დარბაზებს.

სოფელ ჩხუტელის მოსახლეობის ინიციატივით მიმდინარეობს მურში „წმინდა მაქსიმეს“ მცირე ზომის ეკლესიის რესტავრაცია.

კონფერენციაზე გამახვილდა ყურადღება იმაზე, რომ ბევრი ისტორიული ძეგლი საჭიროებს გადაუდებელ რესტავრაციას. მაგალითად, ძეგლთა დაცვის რაიონული საზოგადოების თხოვნით ყველაზე ადრე რესტავრაციის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა შედგენილი იქნა გონის ბაზილიკაზე. მუშაობა უნდა დაეწყო მთავარ სამმართველოს 1983 წელს, მაგრამ მისი დაწყება დღემდე ჭიანურდება.

სამი წლის წინ დაიწყო მურის ციხის აღდგენითი სამუშაოები, მაგრამ იგი მალე შეწყდა, შედგენილი ლე შეკეთდება ციხის კედლები, კარიბჭე და სხვა.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების ცაგერის რაიონული ორგანიზაციის საბჭოს მოთხოვნით ორი წლის წინ მთავარმა სამმართველომ რაიონში ჩაატარა ძეგლთა პასპორტიზაცია და აღრიცხული იქნა 100-ზე მეტი ნაგებობა, აღმოჩნდა ბევრი ახალიც. ამას თუ დავუმატებთ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენების ადგილმდებარეობას, სულ რაიონში ლოკალიზებულ კულტურის ძეგლთა რაოდენობა 150-ს აღწევს.

რესტავრაციის ნახაზები და ხარჯთაღრიცხვა კი დაიკარგა.

ასევე გადაუდებელ შეკეთებას საჭიროებს აღვის ეკლესია, რომლის სახურავი წლების მანძილზე ჩანგრეულია და კედლები ზიანდება.

კონფერენციაზე გამოითქვა აზრი, რომ რაიონში არსებული ისტორიული ძეგლების ფასიანი მცველების (ამჟამად ოთხია) ნაცვლად შემოღებული იქნეს ძეგლის მცველის რაიონული ინსპექტორის შტატი ისე, როგორცაა ბალტიისპირეთში.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რაიონში არსებული ისტორიული და კულტურული ძეგლების პროპაგანდის საკითხებს და მასში ძეგლთა დაცვის რაიონული საბჭოს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის“ როლს.

კონფერენციამ განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი რეზოლუცია. აირჩია ,ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ცაგერის რაიონული საბჭო 11 კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია.

ახლადარჩეულმა რაიონულმა საბჭომ პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი ემზარ კონსტანტინეს ძე გუგავა, პირველ მოადგილედ — პასუხისმგებელ მდივნად მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე ჯუმბერ ნესტორის ძე საღინაძე, მოადგილედ—სახალხო განათლების განყოფილების გამგე დავით კაპიტონის ძე კოპალიანი.

კონფერენციამ საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მერვე ყრილობის დელეგატებად აირჩია ჯ. ნ. საღინაძე და დ. კ. კოპალიანი

ჩვენ ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი სოფლის სახელით

ვიოლა ზურაბიანი, წიფერჩის საექიმო უბნის ექიმი, საუკეთესოდ უძღვება თავის საქმეს და დაკისრებულ მოვალეობას. უყვარს ადამიანები და მათზე ზრუნვაში ატარებს თავისი ცხოვრების მთელ დროს.

ის, არც თუ ისე დიდი ხანია, რაც წიფერჩის საექიმო უბანში გადმოიყვანეს ექიმად, მაგრამ ამ დროის მანძილზე ხალხის დიდი სიყვარული და დაფასება დაიმსახურა.

როგორც რაისაავადმყოფოს პედიატრი, ბავშვებზე ზრუნვაში აღამჭდა და ათენებდა. გამოირჩევა გულისხმიერებით, როგორც პატარებთან, ისე უფროსებთანაც. ბევრჯერ გადაურჩენია ჩემი შვილიშვილები განსაცდელისაგან და ახლა, როცა წიფერჩის საექიმო უბნის ექიმი გახდა, ჩემთვისაც ხშირად აღმოუჩენია სასწრაფო სამედიცინო დახმარება, რამაც სიკვდილისგანაც მიხსნა.

მზრუნველი ყურადღება მას მარტო ჩემდამი არ გამოუჩენია. მოულოდნელად ცუდად გახდება ავადმყოფი და ის იმ წუთს იქ არის გაჩენილი და სანამ კარგად არ გამოჯანმრთელდება არ მიატოვებს უყურადღებოდ.

მართლაც რომ დასაფასებელია ასეთი სითბო და გულისყური, მადლობა ქალბატონ ვიოლას მთელი სოფლის სახელით.

კირიღე მეშვაღიანი,
პენსიონერი.

ჰონორარი გადაირიცხება მრავალშვილიანი დედების დახმარების ფონდში.

ქალაქის იერ - სახეს — ჩვენი გულისყური

„ქალაქს ადამიანები ალამაზებენ“ — ალბათ ეს გამონათქვამი კარგადაა ცნობილი ცაგერელებისათვის, მაგრამ მათ ისიც კარგად იციან, რომ რაც არ უნდა სულით ლამაზი ადამიანები ცხოვრობდნენ ქალაქში, თუ გზები ორმოებითაა დაცხრილული, თუ ერთადერთი ბაღი მოუვლელია, თუ შენობების ფასადები ულაზათოა და ზოგიერთ დაწესებულებათა სატიტულო დაფები დამახინჯებულია ისე, რომ ადამიანს დიდი გონებამახვილობა და ქართული ენის ბრწყინვალე ცოდნა სჭირდება, რათა გაარკვიოს, რომელ ორგანიზაციასა თუ დაწესებულებასთან აქვს საქმე, უკვე ძნელია ქალაქის სილამაზესა და კულტურაზე ვილაპარაკოთ.

თუ არ გჯერათ, სულ ხუთი წუთი დაგჭირდებათ ქალაქში გაცლა-გამოვლისათვის და ყველაფერი სახეზე იქნებ.

ქალაქის ცენტრში ცენტრალური წიგნის მაღაზიის სატიტულო დაფა საკმაოდ მოძველებულია და ასო „წ“ თითქმის აღარც ჩანს. იქვე, მის გასწვრივ მდებარე გასტრონომს ჯერ კიდევ შემორჩენია დაჟანგული და უსახური ასოები.

„ГАСТРОНОМ — ГАСТРОНОМ“. რუსული ასოების სიყვარულში კაციშვილი ვერ დაგვდებს ბრალს, მაგრამ საინტერესოა, რა მოსაზრებით წერია ქართული სიტყვა იმავე შემადგენლობით, როგორც რუსული და სად გაქრა „ი“ ასო?!.

ქალაქის „საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი“ ასე თუ ისე ასრულებს თავის დახიშნულებას, მაგრამ მის თავზე „ამაყად“ აღმართული დაგრეხილი ქართული ასოების საცოდაობით მის წინ მდებარე პატარა ბაღიც კი დაღარემილა, თუმცა თავისი გასაჭირიც ბევრი აქვს საცოდავს, რას იზამ: „ძმა ძმისთვისო, შავი დღისთვისო“.

მეტად საინტერესო ასპექტშია გადაწყვეტილი კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის გარეფასადის გაფორმების საკითხი, აი რას ვკითხულობთ მასზე:

„ᲙᲐᲛᲒ ᲚᲝᲒᲘᲡ
ᲠᲐᲘ ᲜᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲜᲫᲘ“

აღარაფერს ვამბობთ რუსულ ასოებზე, რომელიც ასევე დამახინჯებულია, თუმცა ისიც ნათელია, ისეთ პატარა წმინდა ქართულ ქალაქში როგორიც ცაგერია, რუსულის წამკითხავი ფაქტიურად არავინაა. ნეტა ქართული ტიტულების საქმე გვქონდეს კარგად.

რაც შეეხება ფოსტა-ტელეგრაფს, იგი ასეა „გაფორმებული“

ᲤᲝᲡᲢᲐ

დაკოჭლებული აბრები

ტელეგრა ი

ფოსტა-ტელეგრაფთან არსებულ სატელეფონო ჯიხურში ტელეფონი რაღაც საეჭვოდ დუმს, იქნებ იცის, რომ ქალაქში საცოდავ ორკაპიანებს ხურდად არავინ აბრუნებს.

ზემოთჩამოთვლილი ნაკლოვანებები, ზღვაში წვეთია იმასთან, რაც საერთოდ გვხვდება ქალაქში. თავსაც ნურავინ დაიმედებს იმით, რაც მთავარია ჩვენი ნაკლი ვერ შენიშნესო, ბევრ მათგანს შეგნებულად ავუარეთ გვერდი ამ წერილში, რაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ისინი მომავალი წერილის მასალად გამოდგეს, მაგრამ ჩვენი მიზანია- არა მხოლოდ ნაკლის აღიარება, არამედ მისი გამოსწორებაც. ამიტომ მათ, ვისაც ევალება ამ ნაკლის გამოსწორება, ვურჩევთ, ეცადონ უფროლამაზი სახე ჰქონდეს ქალაქს!

დიახ, ჩვენი ქალაქის იერსახე, რეკლამა, გარეგნული ფორმა ჩვენი კულტურა, ჩვენი სიყვარულია მშობლიური ქალაქისადმი, ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია.

მ. მახაროგლიძე.

უკრაინის სსრ. დონეცკის ოლქის სტარობეშევსკის რაიონის კოტოვსკის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყეს წავის მომრავლება. ფერმა-სამხეცე უკვე წელს 650 ათას მანეთ მოგებას მისცემს კოლმეურნეობას.

სურათზე: ვეტექიმი ანტონინა ოგნენკო.

ი. ბრუის ფოტო.

სახელოვანი ლეჩხუმელები

ბრძოლის ველზე დაცემული რაინდი

აკაკი წერეთლის გარდაცვალების გამო „სახალხო ფურცელში“ დაბეჭდილ სამძიმრის დეპეშებს შორის იყო რუსეთის IV სათათბიროს დეპუტატის, შრომის ჯგუფის წევრის ვარლამ გელოვანის მიერ სარიყამიშიდან გამოგზავნილი დეპეშაც: „ოსმალეთის საზღვარზე მყოფმა მხოლოდ ეხლა გავიგე ის დიდი ეროვნული უბედურება, ჩემს სამშობლოს რომ დასტეხია თავს. აღარა გვყავს დიდებული აკაკი, ვისი სახელითაც თავს იწონებდა მთელი განათლებული ქვეყნის წინაშე პატარა საქართველო, აღარა გვყავს დიდი ქართველი, მაგრამ მისი სახელი შოთას და ილიასთან ერთად მარადის იცოცხლებს ჩვენს გულში. მოწიწებით მუხლს ვიდრეკ დიდებული პოეტის წინაშე და მთელი ქართველი ხალხის ზღვა ცრემლს ვუერთებ ჩემს ცრემლებსაც“.

საქართველოში ჯერ ისევ იგლოდნენ აკაკის, რომ სულ მალე, 18 თებერვალს, იმავე გაზეთის „ახალ ამბებში“ დაიბეჭდა ცნობა, სარიყამიშის მხარეს სათათბიროს რაზმში მუშაობის დროს, ვარლამ გელოვანისა და მისი მეუღლის — მოწყალების დის ნინო გელოვანის სახადით დაავადებისა და მათი თბილისის საავადმყოფოში მოთავსების თაობაზე.

22 თებერვალს კი ვარლამ გელოვანი გარდაიცვალა.

ვარლამ (კუჭიკო) ლევანის ძე გელოვანი დაიბადა 1878 წელს, ლეჩხუმის მაზრის სოფელ სპათაგორში.

ვარლამმა პირველდაწყებითი განათლება სოხუმის მთიელთა სასწავლებელში მიიღო, შემდეგ კი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში განაგრძო სწავლა, რომელიც 1899 წელს დაასრულა. იგი 1902 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, 1903-06 წლებში იყო ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1906 წლიდან მუშაობდა პეტერბურგის ოლქის ადვოკატთა კორპორაციაში ვექილის თანაშემწედ. პირველი სათათბიროს დროს იყო სხვადასხვა ეროვნებათა გაზეთების წარმომადგენელი პრესის ბიუროში და მონაწილეობდა ავტონომისტების კავშირში, სადაც არჩეული იყო მდივნად. 1911 წელს ვ. გელოვანი სამშობლოში დაბრუნდა.

1912 წელს ვარლამ გელოვანი ქუთაისის გუბერნიიდან აირჩიეს IV სახელმწიფო სათათბიროს წევრად.

ვ. გელოვანი როგორც კი აირჩიეს სათათბიროში, მაშინვე გახდა პოპულარული დეპუტატი.

გაზეთ „ბაქოში“ დაიბეჭდა მისი კორესპონდენტის „განის (გ. ლასხიშვილი—ლ. ნ) ინტერვიუ ახლად არჩეულ დეპუტატთან. ამ ინტერვიუში ვარლამ გელოვანმა სავსებით გარკვეულად ჩამოაყალიბა მისი, როგორც დეპუტატის კრედო და მომავალი მოქმედების პროგრამა.

„ჯერ პირველად საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო, რომ ჩვენ, ფედერალისტები, სეპარატისტები არა ვართ. ფედერალისტები— აღნიშნა მან,—როგორც ყველა დანარჩენი ქართველი პოლიტიკური ჯგუფები, აღიარებენ, რომ მათი სამშობლოს ბედ-იღბალი მაგრად და მჭიდროდ არის გადაკავშირებული რუსეთის ბედიღბალთან. ამასთანავე ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის დაურღვევლობის და ძლიერების იდეას სრულებით არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია. პირიქით, განაპირა მხარეების ავტონომია, ცალკე ერების ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა ხელს შეუწყობს მჭიდრო და მაგარ მათ გაერთიანებას საერთო სამშობლოსთან. იგივე ავტონომია სასარგებლოა როგორც საზოგადო-სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი ინტერესების მხრით. ამის მიხედვით და გუბერნიის მცხოვრებთა უმრავლესობის შიერ მკაფიოდ გამოთქმულ მინდობილობის ძალით მე ვილაპარაკებ სათათბიროში საქართველოს ავტონომიის შესახებ, რის ისტორიული უფლებაც აქვს ჩვენს ქვეყანას. რასაკირველია, მე მეოთხე სათათბიროში იმედი არა მაქვს რომ გავიმარჯვებ ამ მხრით, მაგრამ მე მაინც ვალდებულად ვთვლი წარმოვსთქვა ქართველი ხალხის სურვილი და ამით ვაუწყო რუსის ხალხს.

უნდა დავუმატო ამას ისიც, რომ ავტონომიის საკითხი არის პროგრამა-მაქსიმუმი. უმეტეს შემთხვევაში მე მომიხდება დაცვა ქართველი ხალხის სხვადასხვა ეროვნულ მოთხოვნილებისა: ეკლესიის, სკოლის მოწყობის და ერის უფლებისა და სხვა“.

ბუნებრივია, ასეთი მსოფლმხედველობის დეპუტატის გამოსვლას სახელმწიფო სათათბიროში განსაკუთრებული ინტერესი უხდა გამოეწვია და ასეც მოხდა, იმავე, 1912 წლის 13 დეკემბერს, სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე ვარლამ გელოვანმა წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც დამსახურებულად გამოიწვია მისი პიროვნების მიმართ სიმპათიები თვით სათათბიროს წევრთა შორის.

მისი გარდაცვალების გამო ჟურნალ „სევერნიე ზაპისკი“-ში დაბეჭდილ წერილში შრომის ჯგუფის ფრაქციის თავმჯდომარე დეპუტატი ა. კერენსკი წერდა:

სათათბიროში ყოველი გამოსვლის დროს იგი მუდამ ერთგული იყო თავისი პროგრამისა.

თუ საქართველოსთვის რა გააკეთა მან სათათბიროში ამ ორი წლის მძიმე შრომით— დაე, მისმა თანამემამულეებმა დააფასონ. ჩვენ კი უნდა ვთქვათ. მან აღასრულა თავისი სიტყვა, განუშორებლივ, ჩვენთან „ხელიხელჩაკიდებული“ ვიდოდა. სახელმწიფო სათათბიროს მარცხენა ფრთას, რომელიც ეგოდენ მცირერიცხოვანია და უკანასკნელ დროს კი თანდათან უფრო დასუსტებული, მისი დაკარგვით ახალი ნაპრალი დაეტყო“.

ილია ჭავჭავაძისა და ვარლამ გელოვანის ურთიერთობის საინტერესო დეტალს გვაწვდის ქრ. რაჭველიშვილი: სათათბიროს კომისიაში ავტონომისტ ფედერალისტთა კავშირის თავმჯდომარის ლედნიცკის მიერ დასმული იყო საქართველოს ავტონომიის პროექტის საკითხიც. ილია ჭავჭავაძეს ძალიან აინტერესებდა ქართველი დეპუტატების პოზიცია. ცნობილმა მრეწველმა დავით სარაჯიშვილმა პეტერბურგში „ევროპის სასტუმროში“ გამართა სადილი, რომელსაც ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები დაესწრნენ. ილია და პროფ. ა. ცაგარელი ცდილობდნენ ავტონომიის საკითხზე რაიმე შეთანხმებისათვის მიეღწიათ. მოლაპარაკება იმით დამთავრდა, რომ დეპუტატებმა აღუთქვეს, ჩვენ პროექტის წინააღმდეგ არ გავილაშქრებთო.

„ილია მონაწილეობდა I სათათბიროს ავტონომისტ ფედერალისტთა კავშირში და ეხმარებოდა მას საქართველოს საკითხის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებით,—დასძენს ქ. რაჭველიშვილი,—ავტონომისტთა ფრაქციასთან, როგორც ჩანს, მას კავშირი ჰქონდა ვარლამ გელოვანის საშუალებით. ილიას ქაღალდებში მოიპოვება ამ უკანასკნელის სადარბაზო ბარათი შემდეგი შინაარსისა:

„გახლდით თქვენთან, ბატონო ილია. მინდოდა დღეს წამობრძანებულიყავით ავტონომისტთა ფრაქციის კრებაზე, რომელიც არის დანიშნული ამ საღამოს 9 საათზე სათათბიროში. თქვენი ვ. გელოვანი“.

„რუსეთ-ოსმალეთის ფრონტზე მყოფი სახელმწიფო სათათბიროს სახელობის ლაზარეთი, რომლის მოთავარი რწმუნებული იყო ვარლამ გელოვანი, მოწინავე პოზიციებზე იმყოფებოდა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე სარიყამიშში შეხვდა ზურაბ ავალიშვილი მეგობარს. „სიამე მომგვარა და გამოაცა მისმა მამაცმა შეხედულებამ. წითელი ჯვრის რწმუნებულის თითქმის სამხედრო ფორმა ძალიან უხდებოდა მას. ხმალი მხარზე გადაკიდებული და ღილის კილოში გაყრილი წმ. გიორგის ლენტი (ეს ლენტი მან მიიღო შემოდგომაზე პრუსიის ფრონტზე სიმამაცის გამოჩენისათვის) აძლიერებდნენ იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც სტოვებდა მისი სამხედრო შეხედულება.

„...ომში დაღუპული, თუმცა არა მტრის ტყვიისაგან, იგი ღირსი გახდა იმ პატივისა, რომელიც ეკუთვნის თავდადებულთ და გმირთ. მან გამართლა ხალხის ნდობა, იმ ხალხისა, რომელმაც ის აირჩია და სახელმწიფო სათათბიროსი, რომელმაც მას დააკისრა მძიმე პასუხსაგები საქმე, რომელიც მისთვის საბედისწერო შეიქმნა“.

როგორც ქართული, ისე რუსული პერიოდული პრესა გამოსათხოვარ წერილებსა და დეპეშებში მაღალ შეფასებას აძლევდა ვარლამ გელოვანის პროგრამებას, მის მოღვაწეობას, როგორც დეპუტატისას [illegible] სას. მრავალრიცხოვანი [illegible] ვიარო დეპეშებს შორის იყო ხარკოვიდან აჩჩილ ჯორჯაძის სახელობის წრის დეპეშაც:

„ვიზიარებთ სამშობლოს მწუხარებას პირველ ღირსეულ დეპუტატ ვარლამ გელოვანის დაკარგვის გამო, რომელიც იბრძოდა ქართველი ერის უწმინდეს უფლებათათვის. მის სახელს ჩვენი ისტორია აღნიშნავს თავის ფურცლებზე“.

24 თებერვალს ვ. გელოვანის ცხედარი ქვაშვეთის ეკლესიაში მიასვენეს. ცხედარი პატივით წაასვენეს ლეჩხუმში და დაკრძალეს სპათაგორში გელოვანების საგვარეულო ეკლესიის გალავანში.

იოსებ იმედაშვილი წერდა:

„გელოვანის სიკვდილმა კიდევ ერთხელ ნათელჰყო, რა სულიერი სიმტკიცე შერჩენია ქართველ ხალხს: გელოვანი ერთი ნაწილთაგანია იმ ქართველთა, რომელნიც ასე თავდაუზოგავად იხოცებიან აწინდელ მსოფლიო ომში. მრავალი ქართველის სიცოცხლე უდრტვინველად იწირება მსხვერპლად. ხოლო ეს მსხვერპლი ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს არგებს რასმეს თუ არა, ჯერ არავინ უწყის.

განსვენებულმა არ. ჯორჯაძემ როდისღაც სთქვა: როდესაც ქართველს სიკვდილისა აღარ შეეშინდება, საქართველოს აღორძინების ხანაც მაშინ დაიწყებაო... და აჰა, დღეს ქართველი უშიშრად შეჰყურებს სიკვდილს, ებრძვის და უშფოთველად ჰკვდება, ვითარცა ძველი რომაელი.

და იქნება ჩვენი აღორძინება-განახლებაც დაიწყოს. ნეტამც!“ იოსებ იმედაშვილის წინასწარ თქმული აღსრულდა. დაიწყო საქართველოს აღორძინება-განახლებაც და მათ შორის, ვინც საქართველოს უკეთესი მომავლისათვის იბრძოდა, იყო ვარლამ გელოვანიც. მას სჯეროდა თავისი სამშობლოს უკეთესი მომავლისა, და როგორ ეხმაურება დღევანდელობას მისი ინტერვიუ გაზეთის კორესპონდენტთან და მისი სიტყვა IV სათათბიროს სხდომაზე, რომელიც ჯერ კიდევ 1912 წელს წარმოთქვა.

ვარლამ გელოვანიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა შორის უნდა მოვიხსენიოთ, როგორც ბრძოლის ველზე დაცემული რაინდი.

ლეონა ნანიტაშვილი

შიდსი: ვიცოდეთ და ვებრძოლოთ

შიდსს—„XX საუკუნის ჭირს“, რომელიც დედამიწის ზურგზე დასეირნობს, შეუძლია ყოველი ჩვენგანი მოიგდოს ფეხქვეშ. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დღეისათვის რეგისტრირებულია ამ მრისხანე სენის 270 ათასამდე შემთხვევა, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანის იმუნური სისტემის დაზიანება, იგი დაუცველს ხდის მას ინფექციებისა და სიმსივნეების პროცესების მიმართ. მეცნიერთა პროგნოზით დაავადებულთა მესამედზე მეტს სიკვდილი ემუქრება.

—როგორია შიდსის მხრივ მდგომარეობა საქართველოში?

—ეს ვირუსი, რომლისათვისაც საზღვარი არ არსებობს, ჩვენთვის რეალური ამ სამი წლის წინათ გახდა,—უპასუხა საქინფორმის კორესპონდენტის შეკითხვაზე ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ, რესპუბლიკის მთავარმა სახელმწიფო სანიტარიულმა ექიმმა ირაკლი ფაღავამ.—თბილისში, სოხუმში, ზუგდიდში გამოვლინდა რამდენიმე ვირუსმატარებელი. ორი მათგანი უკვე გარდაიცვალა. ახლა ზუსტდება მათი კონტაქტები. ტარდება ფართო ეპიდემიოლოგიური გამოკვლევა. ეს უკვე განგაშის სერიოზული სიგნალია. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკაში დაავადების გავრცელების ყველა წანამძღვარი არსებობს. ხომ არაისთვის წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ ქვეყანაში საქართველოს, სამწუხაროდ, ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ვენერიულ დაავადებათა გავრცელების მხრივ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თავს არ იკავებს შემთხვევითი სქესობრივი კავშირისაგან, ასეთი განურჩევლობა კი უკვალოდ არ რჩება. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზია თვით საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, სადაც უამრავი კურორტია. ჩვენთან მილიონობით დამსვენებელი ჩამოდის სხვადასხვა რეგიონიდან, რომელთა შორის ბევრი უწესრიგო სქესობრივ ცხოვრებას ეწევა.

—დასნებოვნების კიდევ რა გზები არსებობს?

—სამედიცინო მანიპულაციების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებულია არასტერილური ინსტრუმენტებით კანის საფარის მთლიანობის დარღვევასთან, ინფიცირებული სისხლის გადასხმა და მისი პრეპარატები, ჭრილობა ავადმყოფი დედიდან შვილზე.

—ხშირად გაიგონებთ, რომ შიდსი გადადის ნეკნყვის, ხელის ჩამორთმევის, ცუდად გარეცხილი ჭურჭლის მეშვეობით.

—ჩემს მიერ აღნიშნულის გარდა სხვა გზები არ არსებობს. ვირუსი არ გადადის არც ჰაერწვეთოვანი გზით და არც ჩვეულებრივი ყოფითი კონტაქტებით. თუმცა, ყოველი ქვეყანა დაავადების გავრცელების თავის „მტკივნეულ“ წერტილებს საზღვრავს. მაგალითად, ნარკომანიის ფართო განვითარება ან სამედიცინო დახმარების ხარისხისა და ორგანიზაციის არასაკმარისი დონე.

—თუ შეიძლება, შეგვახსენეთ დაავადების სიმპტომები?

—სენი მოულოდნელად მოიპარება და ვითარდება ფარული პერიოდის შემდეგ, რომელიც შეიძლება თვეობით და წლობით გაგრძელდეს. ლაბორატორიული გზით შესაძლებელი ხდება დადგინდეს დასნებოვნებულ ადამიანში ვირუსის ან მისი ანტისხეულების არსებობა, ანდა აღმოჩენილ იქნეს გაურკვეველი იმუნოლოგიური ძვრები, დაავადების ყველაზე ხშირი გამოვლინებანი— ხანგრძლივი ცეცხლება, ფილტვების ანთება, ლიმფური კვანძების გადიდება, ფაღარათი, ყანისა და სხვა ორგანოების სარკომა. შორეულ შემთხვევაში ადამიანი ძლიერ ხდება, მისი ორგანიზმი იფიტება, თუმცა შიდსი იმითაც არის ვერაგი, რომ შეიძლება უხიმპტომოდაც მიმდინარეობდეს.

—რა ღონისძიებანი ხორციელდება შიდსის შემდგომი გავრცელების ასაცილებლად?

—ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველებმა ჯერ კიდევ 1986 წელს

(დასასრული მე-4 გვერდზე).

შიდსი: ვიცოდეთ და ვებრძოლოთ

(დასასრული)

დავიწყეთ პროფილაქტიკული ღონისძიების ნატარება. შეიქმნა მუდმივი კომისია, ხოლო გასული წლიდან—კომიტეტი. ამჟამად თბილისში ფუნქციონირებს შიდსის პროფილაქტიკის რესპუბლიკური ცენტრი, შექმნილია აგრეთვე 25 რეგიონალური ლაბორატორია.

შიდსის გავრცელების თვალსაზრისით ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენენ ეგრეთ წოდებული „რისკის ჯგუფების" პირნი. მათ მიეკუთვნებიან ნარკომანები, ჰომოსექსუალისტები, მეძავები, ჰემოფილიით დაავადებულნი და სხვა. მათი უმრავლესობა მედიკოსთა მხედველობის არეში იმყოფება. საამისოდ ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა, აუცილებელი აპარატურა და პრეპარატები. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს, სულ ადამიანთა უფრო მცირე რაოდენობა მიმართავს ანონიმური დიაგნოსტიკის ლაბორატორიას, მინდა შეგახსენოთ, რომ შიდსის თავიდან აცილება ჩვენზეა დამოკიდებული.

ინფექციის გზაზე მთავარ ბარიერად უნდა იქცეს მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, წიგნიერი სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა, დაავადების ეპიდემიოლოგიურ თავისებურებათა, სოციალურ, პროფესიული და საყოფაცხოვრებო ფაქტორების სპეციფიკის გათვალისწინებით. ახსნა-განმარტებითი მუშაობის დაწყება საჭიროა უკვე სკოლის მერხიდანვე, უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში.

წელს გაზაფხულზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შექმნა ქვეყანაში შიდსის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სამთავრობო კომისია. შიდსი ზოგადნაციონალური პრობლემაა და მას ამიერიდან მუდმივად მოიკიდებს ხელთ სამთავრობო ორგანო, რომელსაც ძალა-უფლებაც აქვს და ყველა საჭირო უფლებამოსილებაც გააჩნია.

იური გოლდმანი,
საქინფორმის კორ.

საუბარი საერთაშორისო თემაზე

გერმანია: დროის ახალი ათვლა

ისტორია სიამოვნებით გაისარჯა იმისათვის, რათა ოქტომბერი ევროპის უმნიშვნელოვანესი მოვლენების მატიანეში განსაკუთრებული თვე გამხდარიყო. 1949 წლის 7 ოქტომბერს გამოცხადდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. წელს, 3 ოქტომბერს კი მან შეწყვიტა თავისი არსებობა. მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, ორმოცდახუთი წლის შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, კვლავ გაჩნდა გერმანიის სახელმწიფო—ერთიანი და სუვერენული.

როგორი უნდა იყოს ახალი გერმანია? შეუძლია მას დარჩეს ნატოს წევრად? როგორია მისი როლი საერთო-ევროპულ პროცესში? როგორი იქნება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა ჯარების დასავლეთის ჯგუფის ბედი? ეს და ბევრი სხვა საკითხი, რომლებიც შეადგენენ გერმანიის პრობლემის მოწესრიგების საგარეო ასპექტებს, იყო „ორი პლუს ოთხი" ფორმულის რთული მოლაპარაკების საგანი. მათი შედეგი გახდა მოსკოვში სექტემბერში ხელმოწერილი ხელშეკრულება გერმანიის ურთიერთობის დამამთავრებელი მოწესრიგების შესახებ.

როცა ასეთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას აფასებდა, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ იგი შესაძლებელი გახდა იმ ცვლილებათა შედეგად, რომლებიც ახალი პოლიტიკური აზროვნების ბაზაზე მოხდა ევროპასა და მთელ მსოფლიოში. იმ პრინციპების ბაზაზე, რომლებიც ჩადებული იყო სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის საფუძველში. გერმანიის გაერთიანების პროცესში ჩვენი ქვეყნის როლის აღიარებამ, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობის მნიშვნელობამ საერთო-ევროპული სახლის მშენებლობაში ასახვა ჰპოვა ხელშეკრულებაში სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კეთილმეზობლობის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ.

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ იკისრა მოსაწესრიგებლად მიიღოს საბჭოთა ჯარების გამოყვანის დაფინანსებაში, და განაცხადა, რომ მზად არის საბჭოთა კავშირს 1994 წლის დასასრულამდე გადაუხადოს 12 მილიარდი მარკა, ამ თანხიდან 7 მილიარდზე მეტი გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის.

სამხედრო მოსამსახურეებისათვის ბინების მშენებლობის გეგმები ხორცს ისხამს. როგორც დასავლეთგერმანული გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე" იუწყება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეუდგა რუსეთის ევროპულ ნაწილში, ბელორუსიასა და უკრაინაში 36,000 ბინის აგებას, რომელთა უმრავლესობა —იქნება სამოთახიანი, 50-დან 60 კვადრატულ მეტრამდე ფართობისა. სამშენებლო სამუშაოებს ხელმძღვანელობას გაუწევენ დასავლეთგერმანელი სპეციალისტები.

ა. ანციფეროვი.

სასამართლოს დარბაზიდან

სიმთვრალის შედეგი

მიმდინარე წლის 15 აპრილს შემაზრზენი ფაქტი მოხდა სოფელ ზუბში. თავისივე ოჯახში სასიკვდილოდ დაჭრეს ახალგაზრდა კაცი შუქური ბენიძე.

როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის (თავმჯდომარე ჯ. წაქაძე) გამსვლელ სხდომაზე დადასტურდა 1990 წლის 15 აპრილს მახურლები ბორის აკობიძე და მისი მეზობელი ზაურ ომანაძე ოყურეშისა და ზუბის ტერიტორიაზე ეძებდნენ თავიანთი ოჯახების კუთვნილ ცხენებს. 21 საათზე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ომანაძე და აკობიძე ზუბში მცხოვრებ ლამარა ბენიძის სახლის წინ გამავალი გზით მიდიოდნენ მახურაში. ჭიშკართან მდგომმა ლ. ბენიძემ ისინი შეიპატიჟა სახლში, სადაც ამ დროს იმყოფებოდნენ წყალტუბოდან ამოსული მისი შვილები შუქური და მამუკა ბენიძეები ცოლ-შვილით. რადგან 15 აპრილი აღდგომის დღესასწაულის დღე იყო ყველა ოჯახში იყო გაშლილი პურმარილი. ბენიძეების ოჯახშიაც გაიმართა პურისჭამა, რომელსაც შემდეგ შეუერთდა იქვე მეზობლად მცხოვრები ელვარდი დავითულიანი.

სასმელების გარკვეული რაოდენობის მიღების შემდეგ მაგიდაზე მალე წარმოიშვა დავა. სიტყვიერი შეურაცხყოფა ფიზიკურში გადაიზარდა და ასე აგორდა განხეთქილების გუნდა და ზვავად დაეწვა ბენიძეების ოჯახს. ზ. ომანაძესა და ე. დავითულიანს შორის მაგიდასთან წარმოშობილი დავა ეზოში გაგრძელდა შუქური ბენიძესა და ბორის აკობიძეს შორის. ჩხუბის პროცესში ბ. აკობიძემ ჯიბიდან ამოიღო დასაკეცი დანა, გახსნა და შურისძიების მოტივით, რატომ გაულახეს ამხანაგი ზ. ომანაძე, განზრახ მოკვლის მიზნით შუქური ბენიძეს დანის რამდენჯერმე დარტყმით მიაყენა სამი ჭრილობა, რის შედეგიც ბ. აკობიძე გაიქცა. მაგრამ ჭიშკართან მას კვლავ წამოეწია შ. ბენიძე და ისევ გაიმართა ჩხუბი, რასაც ამ დროს აშველებდა დედა ლამარა ბენიძე, იგი აკავებდა თავის შვილს, ამ მომენტით ისარგებლა აკობიძემ და შუქური ბენიძეს კიდევ დაარტყა დანა კისრის წინა ზედაპირზე, რითაც მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება და გაიქცა. შ. ბენიძე გადაყვანილ იქნა რაიონულ საავადმყოფოში, ხოლო შემდეგ უფრო კვალიფიციური სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად ავტომანქანით წაყვანილ იქნა წყალტუბოში, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

ალკოჰოლის ზედმეტ მიღებას, ღრეობას შეეწირა კიდევ ერთი ახალგაზრდის სიცოცხლე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 4 სექტემბრის გამსვლელმა სხდომამ ბორის იასონის ძე აკობიძე ცნო დამნაშავედ და მიუსაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, გასახლების გარეშე.

ეს საინტერესოა

კურნავს კიბოს

არიზონისა და კოლორადოს უნივერსიტეტების მკვლევარებმა ექსპერიმენტული წესით გამოიყენეს არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები პიროქსიკამი და სულინდაკი როგორც მსხვილი ნაწლავის პოლიპის და კიბოს საწინააღმდეგო საშუალება.

მიაჩნიათ, რომ პროსტაგლანდინი მსხვილი ნაწლავის კიბოს მასტიმულირებელი ფაქტორია. ამ პროსტაგლანდინის დონის გაზომვამ 20 პაციენტის ბიოფსიებში, რომლებსაც სწორი ნაწლავის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი პოლიპიები და ნორმალური ლორწო ჰქონდათ, გვიჩვენა, რომ ყველაზე მაღალი იყო იგი ავთვისებიან ქსოვილში და ყველაზე დაბალი—ნორმალურში.

ცნობილია, რომ ახალგაზრდაკაცს მკურნალობდნენ ინდომეტანცინით პერიკარდიტზე, რომელიც გამოწვეული იყო კიბოვანი სიმსივნის რადიოთერაპიის შედეგად. ეს სიმსივნე არ შემცირებულა ორი ოპერაციისა და დასხივების შემდეგაც, ხოლო ინდომეტანტინით მკურნალობის შემდეგ სამი დღის განმავლობაში გაქრა.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ფილოსოფი

ნათია გურამის ასულ ლიპარტელიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ წარმატებებს სწავლაში და პირად ცხოვრებაში.

თინიკო ლიპარტელიანი, ხათუნა ყვირილიანი.

ნათელა, გია ჭაბუკიანებს
ნანი, დათო კაჭკაჭაშვილებს

გილოცავთ ქალიშვილთა შეძენას. ღმერთმა ამრავლოს თქვენს კერაზე ჯანსაღი გოგო-ბიჭები. შემატებოდეთ მრავალი და-ძმა.

რუსუდან, მერაბ ხეცურიანები, ნუნუ, მურადი ხაბულიანები, მარინე, გია დაშნიანები, ბელა, მურად გუგავები, ნინო, გია კერვალიშვილები.

ნინო სილაგაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. იყავ მუდამ ასე მშვენიერი.

შენი თეონა.

შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილებისა და დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზურაბ თუთისანს მამის

გრიშა ბიქტორის ძე თუთისანის

გარდაცვალების გამო.

პაშა, შოთა მურცხვალაძეები ოჯახებით იუწყებიან სიძის

შალვა ერმილეს ძე კვირკაშვილის

გარდაცვალებას.

ადგილმრეწველობის კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზურაბ, რიმა თუთისანებს მამისა და მამამთილის

გრიშა თუთისანის

გარდაცვალების გამო.

გალაქტიონ ლიპარტელიანი, ვიტალი ხეცურიანი, ჯონი მეშველიანი, მურად ბარბაქაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ფედოსი გიორგის ასული გოგიძე-კოპალიანი.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-37, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—23-41 საკორექტოროს—22-43. სტატიების დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-28, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4488

საქართველოს სსრ ხელმძღვანელი სოციალური სამართლის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.